ხვთისო მამისიმედიშვილი

გმირის ინიციაცია ქოროღლის აზერბაიჯანულ ეპოსში

არქაულ საზოგადოებაში განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა სოციუმთან ზიარების რიტუალი, რომელსაც განსხვავებულ ტრადიციებშიც კი ტიპოლოგიური ელემენტები და სიმბოლოები მოეპოვება.

ნეოფიტი განსაზღვრული რიტუალების გავლის შემდეგ იცვლიდა ასაკობრივ თუ სოციალურ სტატუსს, რის შემდეგაც მას აღიარებდნენ ტრადიციული საზოგადოების სრულუფლებიან წევრად. ინიციაციის ძირებს შეიძლება მივაკვლიოთ პრაქტიკულად ყველა ხალხის შორეულ ტრადიციებში. ინიციაციის ელემენტები სხვადასხვა საზოგადოებაში თანდათანობით ყოფიდან ამოვარდა და დაიკარგა. თუმცა ყოფიდან გამქრალი ძველი ადათები და რიტუალები ფოლკლორული მოტივებისა და სიუჟეტების სახით შემორჩა ცნობილ ხალხურ ეპოსებში.

აზერბაიჯანულ ქოროღლის ეპოსში მეტად მნიშვნელოვანია როვშანის ინიციაციის ეპიზოდი, რომელმაც შემოგვინახა არაერთი უნივერსალური მითოლოგიური ელემენტი. ინიციაციის შედეგად ქოროღლის სახით როვშანისგან სრულიად ახალი ადამიანი წარმოსდგება, განსხვავებული უნარებითა და განსხვავებული სოციალური სტატუსით.

ინიციაცია გულისხმობს რომელიმე სოციალურ ჯგუფსა თუ საიდუმლო საზოგადოებაში ინდივიდის გადასვლას განვითარების ახალ საფეხურზე, ახალ სტატუსში. ინიციაციის დროს ინდივიდი ეზიარება სამყაროს სასიცოცხლო ძალებს. ეპოსებში ეს გამოიხატება განსაკუთრებული ფიზიკური ძალ-ღონის მინიჭებით. განდობის რიტუალით ის შეიმეცნებს ტომის საიდუმლოს, ძველ მითებსა და ხალხურ სიბრძნეს. საიდუმლოს ჩატარების დროს ხდება მისი ერთგვარი შეწირვა, კურთხევა და ხელთდასხმა.

მკვლევარები ინიციაციის სამ კატეგორიას, გადასვლის სამ ტიპს გამოყოფენ. პირველი ტიპი გულისხმობს მოზარდის გადასვლას ზრდასრულ ასაკში, რომელიც ტარდება ინდივიდუალურად ან ვიწრო წრეში. მეორე ტიპი არის საიდუმლო საზოგადოების ან რაიმე სახის საძმოს სრულუფლებიან წევრად ზიარება. განდობის მესამე ტიპი გულისხმობს ქურუმის, შამანის, ტომის ბელადის ან წინამძღოლის დამტკიცებას.

განდობის სამივე ტიპს აქვს როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები. ინიციაციის არსი და მიზანი ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივეა. მაგალითად, როგორც მიუთითებენ, განდობის მესამე ტიპის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს უფრო მეტი რელიგიური განცდა, ვიდრე ეს წილად ხვდათ ამ საიდუმლო საზოგადოების სხვა წევრებს. ტომის (საძმოს) წინამძღოლს დამკვიდრების რიტუალის შემდეგ მიიჩნევდნენ საკრალურ და წმინდა პიროვნებად. შესაბამისად, ის იყო ხელშეუხებელი, მიუკარებელი, საშიში, ისევე როგორც ღვთაება. ამის გამო, ერთი მხრივ, აღმართა ბარიერი განდობილსა და მთელ საზოგადოებას შორის, მეორე მხრივ, - საზოგადოება არ იყო დაცული განდობილის მოქმედებისგან.

მირჩა ელიადეს აზრით, "ინიციაცია შეიცავს რიტუალების მთელ წყებას, რომელთა სიმბოლიზმი ცხადზე ცხადია: საქმე ეხება ყმაწვილის გარდაქმნას ემბრიონად, რათა იგი შემდეგ ხელახლა იშვას. ამრიგად, ინიციაცია იგივეა, რაც მეორედ დაბადება" [ელიადე 1963: 101].

ინიციაცია ხშირად რელიგიური დღესასწაულების დროს იმართებოდა. მას ხშირად თან ახლდა მტანჯველი რიტუალები: სხეულის დაზიანება, ქირურგიული ჩარევა, რის გამოც ზოგჯერ ინდივიდს აძინებდნენ კიდეც, რათა შედარებით ადვილად გადაელახა მას მტანჯველი ტკივილები.

გადასავლის რიტულში ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი იყო ინდივიდის განმარტოება და მისი საზოგადოებისაგან იზოლირება.

ინდივიდმა ინიციაციის დროს უნდა გამოავლინოს განსაკუთრებული სულიერი სიმტკიცე და ნებისყოფა. გადასვლის რიტუალს თან ახლდა გარკვეული აკრძალვები, როგორიცაა: კვების აკრძალვა, დუმილის დაცვა, ბნელში ყოფნა და სხვ. ეს არ იყო მხოლოდ ინიციანტის ვარჯიში ასკეტიზმში. ამგვარი აკრძალვები გულისხმობდა უარის თქმას მიწიერ, ხორციელ სურვილებსა და ამბიციებზე. გადასვლის რიტუალში ჩართული იყო სამი სახის განდობა: სიწმინდე, სიკვდილი და სექსუალობა, რომელთა შესახებ ცოდნა მოზარდს ინიციაციის გავლამდე არ ჰქონდა და მათ რიტუალის დროს ეზიარებოდა. შეძენილ სიბრძნეს ეყრდნობოდა მისი ცხოვრების სტრუქტურა. ხშირად წამებამდე მისული ფიზიკური წრთობა მიზნად ისახავდა ინდივიდის საწყისთან, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ მდგომარეობასთან დაბრუნებას, რომელიც სიმბოლურად გამოხატავდა სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას. რელიგიურ-მისტიკური განცდა იყო ინიციაციის უკანასკნელი ეტაპის აუცილებელი, განუყრელი ნაწილი. ინიციანტის რიტუალური სიკვდილი ერთდროულად აღნიშნავდა უმეცრებისა და ბავშვობის დასასრულს. მხოლოდ

რიტუალური გამოცდის შემდეგ ცნობდა კოლექტივი ინდივიდს საზოგადოების პასუხისმგებელ წევრად, ანუ ზრდასრულ ადამიანად მთელი თავისი უფლებებითა და მოვალეობებით.

არნოლდ ვან ხენეპის მიხედვით, ინიციაცია სამი საფეხურისაგან შედგება: პრელიმინარული ანუ გამოცალკევების რიტუალი, ლიმინარული ანუ საზღურბლო სიტუაცია, როცა ინდივიდი ზღურბლზეა, არც აქეთ არის, არც - იქით და ბოლოს, პოსტლიმინარული ანუ მიკუთვნების რიტუალი. ამ დროს ინდივიდი საბოლოოდ მკვიდრდება ახალ სტატუსში. ეს შეიძლება იყოს ასაკობრივი, სოციალური ან მეტაფიზიკური ცვლილება [ხენეპი 1909]. თითოეული საფეხური მეტნაკლებად აისახება ეპიკური გმირის ცხოვრებაში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეპოსში რიტუალებს ხშირად დაკარგული აქვთ თავიანთი თავდაპირველი მნიშვნელობა და მისგან განსხვავებული რეალობის გამოსახატავად არის მოწოდებული [კიკნაძე 2002: 15].

რა სახის ტიპოლოგიას ვხვდებით როვშანის ინიციაციის დროს აზერბაიჯანულ ქოროღლის ეპოსში?

ტიპოლოგიური თვალსაზრისით ქოროღლის ეპოსში მნიშვნელოვანი ინიციაციის ელემენტებია: საკრალური ქრონოტოპი, მთაზე ასვლა, მთის მწვერვალი, წყალში (რძეში) განბანება, ზეციდან გადმოსული ნათლის (ცეცხლის) სვეტი, ღამეული სიბნელე, ზეცა და ვარსკვლავები, მამის დავალება, სახელის დარქმევა და სხვ.

ისევე როგორც ყველა ტრადიციული გმირი, როვშანიც ინიციაციას გადის ასაკობრივი ცვლილების ზღვარზე. ეპოსი მოგვითხრობს: „როვშანი ახალშეღერებული ყმაწვილი ბიჭი იყო, მაგრამ როსტომივით მამაცი. თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლისა იქნებოდა“ [ქოროღლი 2003: 13] . ზოგან ეს ასაკი ქვემოთ არის დაწეული, მაგრამ აქ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ეპიკური გმირის აქტიური ბიოგრაფია იწყება ინიციაციის გავლის შემდეგ. ქართული ეპოსის გმირი არსენა, ქოროღლივით ყაჩაღი, ცხოვრების ასპარეზზე ჩნდება 16 წლის ასაკში: „რომ შეიქმნა თექვსმეტი წლის მთა და ბარი შეაჯერა.“

მამას, ალი ქიშის მიჰყავს როვშანი საინიციაციო ადგილის მახლობლად. სხვას ამის უფლება არა აქვს, თუ მამა ცოცხალია, რადგან მამა ძველ ეპოსებში აბსოლუტურ მამობას გამოხატავს.

მამამ, აბრაჰამმა, თავისი ვაჟი ისააკი შესაწირად მორიას მთაზე აიყვანა, სადაც შემდეგ სოლომონის ტაძარი აშენდა.

სად ხდება ინიციაცია? ინიციაციის ადგილი უნდა იყოს საკრალური სივრცე. აზერბაიჯანული ეპოსის „ქოროღლის“ მთავარი გმირის როვშანის ინიციაცია რიტუალურად მთის მწვერვალზე სრულდება. მთის მწვერვალი საუკეთესო ადგილია. მითოლოგიურ ტექსტებში მთის მწვერვალი სამოთხის ნიშნებით არის შემკული. ქოროღლის ეპოსშიც ის სიმბოლურად სამოთხისეულ შესაქმის ადგილსა და სამყაროს შუაგულს განასახიერებს. ქოროღლის ეპოსის მიხედვით, მთის მწვერვალზე ყვავილოვანი წალკოტია გადაშლილი, ვარდი ვარდს უხმობს და ბულბული ბულბულს. იქ სრულ ჰარმონიაშია მოქცეული ცისა და მიწის ძალები. მთის მწვერვალი გამოცხადების ადგილია, სადაც მოზარდი უნდა ეზიაროს ღვთიურ სიბრძნეს, სამყაროს სასიცოცხლო ძალებს, სიკვდილ-სიცოცხლეს და სხვ. მთის მწვერვალი ბიბლიაში იგივე საკურთხეველია. ზ. კიკნაძის აზრით, ქრისტიანულ ტრადიციაში მთას ისეთივე საკრალური სტატუსი აქვს, როგორიც საკურთხეველს ტაძარში. მთის მწვერვალი ყველაზე ახლოს არის ცასთან. ოსური ნართების პერსონაჟები სოსლანი და ბათრაძი ზეციური ძალების ხელდასხმით გადიან ინიციაციას, ზეციური მჭედლის ქურდალაგონის ქურაში. სოსლანს მგლის რძეში გაბანენ და ზეციური ძალები ასაჩუქრებენ განსაკუთრებული უნარებით [ნართები 1988: 101-105], რის შემდეგეც ის ეპოსში გვევლინება როგორც კულტურული გმირი, ცივილიზაციის საწყისების შემომტანი საზოგადოებაში.

როვშანის მიერ ყირათისა და დურათის გახედნა, რომელსაც ჭაბუკი მამის დავალებით ასრულებს, აგრეთვე, საკრალურ დროსა და სივრცეში მისი შეღწევა შეიძლება განვიხილოთ, როგორც საინიციაციოდ მისი მოსამზადებელი, ე.წ. პრელიმინარული სიტუაცია [ა. ხენეპის ტერმინით], რადგან სხვანაირად ის ვერ შეძლებს იმ კლდეზე ასვლას, რომელსაც „როვშანმა ერთი ხელის მოსაკიდებელი ადგილიც კი ვერსად უპოვა.“ მთის მწვერვალზე როვშანის დგომა და კოსმიურ ძალებთან მისი ზიარება ეპოსში აღიქმება, როგორც ლიმინარული სიტუაცია, როცა ჭაბუკი დგას თავის ბედისწერის ქიმზე, როცა არც იქით არის და არც აქეთ. ის თავისი ახალი ცხოვრების, ახალი სტატუსის ზღურბლთან იმყოფება.

რა დროს ხდება ინიციაცია? ეპოსში ინიციაციის დრო წარმოდგენილია როგორც ძლიერი, საკრალური დრო. საქართველოს მთიანეთში, კერძოდ ხახმატში, დღემდე ვაჟების ჯვარში მიბარების რიტუალი სრულდება მაღალი მთის მწვერვალზე რელიგიური დღესასწაულის - ათენგენობის დროს. როვშანის ინიციაცია ხდება საკრალურ დროს, რომელიც ნაკურთხი იყო ღმერთების მიერ მათი ქმედებების პერიოდში. ღმერთებმა დაუდეს სათავე საკრალური დროის დინებას. სხვა სიტყვებით, რიტუალურად იმ სიტუაციაში ადამიანი განიცდის საკრალური დროის

პირველგამოჩენას, როგორც იგი გამოჩნდა "დასაბამიდან", "მას ჟამს", იმ რეალობების შექმნასთან ერთად, რომლებიც შეადგენენ დღეს სამყაროს.

ასეთი დრო, ეპოსის მიხედვით, ყოშაბულაღის მთაზე დგება შვიდ წელიწადში ერთხელ, პარასკევ ღამეს, როცა აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ცაზე წამოსული თითო ვარსკვლავი ყოშაბულაღის თავზე ერთმანეთს ეჯახება. ვარსკვლავების შეჯახებისას მთის მწვერვალზე ციდან სხივნათელი იფრქვევა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებში ვარსკვლავების გადაადგილება და ციდან მთის მწვერვალზე ცეცხლის სვეტის გადმოსვლა ჰიეროფანიის, ჯვარჩენის ნიშანია. მთის მწვერვალზე საკრალურის გამოჩენის საუკეთესო პირობებია. ჰიეროფანიის მხილველი უეჭველად ღვთის რჩეული ხდება. ხევსურული ანდრეზის მიხედვით, სიმწიფის ასაკს მიღწეული გოგონა და ბიჭი კარატის მთის მწვერვალზე გახდა ჯვარჩენის მხილველი. სამწყემსურში მყოფ ქალ-ვაჟს ციდან მოესმათ წივილის ხმა („ციდან ჩამოესმა რეკვა"), რასაც მოჰყვა სასწაული: მათ თვალწინ ციდან ჩამოეშვა თასი და ვერცხლის შიბი. ქალს შეხვდა შიბი, ვაჟს - თასი. მოგვიანებით, ქადაგის რჩევით, შიბი და თასი მთის მწვერვალზე, მათი გამოჩენის ადგილას დამარხეს, ზედ ეკლესია ააშენეს და კულტმსახურება დააწესეს.

როვშანიც გამორჩეულია. მთაზე ასვლა და შვიდწელიწადში ერთხელ ყოშაბულაღის თავზე სხივნათელის ხილვა განსაკუთრებული ძალისხმევითა და დიდი დაბრკოლების გადალახვით მიიღწევა, ამიტომ იმ დროსა და სივრცეში მოხვედრა მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ. ბიბლიის მიხედვით, სინას მთის მწვერვალზე ისრაელიანთა შორის მხოლოდ ერთადერთი, ღრუბლებშიგახვეული მოსე შეძლებს სინას მთის მწვერვალზე უხილავი უფლის წინაშე წარდგომას. პრელიმინარულ სიტუაციაში მოიპოვებს როვშანი ყოშაბულაღის მწვერვალზე საკრალურ დროსა და სივრცეში შეღწევის უფლებას. წმიდა მიწა როვშანის ინიციაციის ეპიზოდში დედა-მიწის საშოსთან არის გაიგივებული. „სტრუქტურული თვალსაზრისით, საშოში დაბრუნება შეესაბამება უნივერსუმის უკუსვლას (რეგრესსუს) „ქაოტური" ანუ ემბრიონალური მდგომარეობისკენ" [ელიადე 1963: 101].

როვშანის ინიციაცია შუაღამით სრულდება. ინიციანტის სიბნელეში ყოფნა რიტუალური გადასვლის აუცილებელი ელემენტია. ოსური ნართების ეპოსის მიხედვით, სათანას მომავალი დევგმირი, ბათრაძი, ერთ ბნელ ოთახში ჰყავდა ჩაკეტილი. მაგრამ, როცა მოზარდი მომწიფდა, კარი ჩამოგლიჯა თუ გამოამტვრია და დღის სინათლეზე გამოვიდა [ნართები 1988: 212]. ბნელი ოთახი, სადაც ნართი ბათრაძია გამოკეტილი, საინიციაციო ადგილია. ასეთივე დანიშნულება აქვს „უკაცურ სახლს" ფარნავაზის სიზმარში, საიდანაც მეფობის კანდიდატი მზის სხივმა

გამოიყვანა. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ერთი წელი ბნელში იჯდა ინდოეთის ტახტის მემკვიდრე: „მე წელიწდამდის ბნელსა ვჯე, საწუთრო-გაცუდებული“. - ეუბნება უდაბნოში გაჭრილი რაინდი ავთანდილს [რუსთაველი 1974: 103]. სიბნელიდან გამოსვლის შემდეგ იწყება ტარიელის ეპიკური თავგადასავალი, მანამდე გმირის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი ხდებოდა. საინიციაციო ქოხის, გველეშაპის წიაღის, წმინდა მიწის სიბნელე მითოლოგიურ ტექსტებში განასახიერებს დედის საშოს, საიდანაც სრულყოფილ ადამიანად ხელმეორედ უნდა დაიბადოს მოზარდი. რიტუალური გადასვლის დროს (rites de passage) წმინდა მიწაზე, ღამეულ სიბნელეში როვშანი უბრუნდება ემბრიონალურ, ქაოტურ მდგომარეობას. ის სიმბოლურად კვდება, როგორც მოზარდი, რათა ამ “მასალისგან” დაიბადოს გმირი, ახალი ადამიანი, ახალი ძალითა და ახალი უნარებით. მ. ელიადეს აზრით, “შობამდელი წყვდიადი შეესაბამება შესაქმემდელ ღამეს და საინიციაციო ქოხის სიბნელეს” [ელიადე 1963: 100].

სწორედ იმ დროს, როცა ყველაზე მეტად იყო მთის მწვერვალზე კონცენტრირებული სამყაროს სტიქიური ელემენტები: ცეცხლი წყალი, მიწა და ჰაერი - ღამეულ სიბნელეში ვარსკვლავების შეჯახებისას ხდება საშინელი ზებუნებრივი მოვლენა: ყოშაბულაღის წყალთან როვშანს ერთბაშად ციდან სხივნათელი ეფრქვევა, ხოლო მის ფეხებთან ადამიანის სიმაღლეზე რძესავით ქაფი ამოდუღდება. როვშანმა დალია და იცხო თეთრი ქაფი, რომელიც, როგორც წმინდა ნივთიერება, გარდაქმნის ინიციანტის მთელ მატერიალურ ბუნებას, როვშანის მკლავებს მან ძალ-ღონე შემატა, ლექსისა და სიმღერის ნიჭი მოამადლა. ნართების ოსურ ეპოსში საინიციაციოდ მზიურ გმირს სოსლანს მგლის რძეში გაბანენ. ამირანის ეპოსში კი გველეშაპის წიაღიდან გამოსული გმირი იგრი ბატონის წყალში განიბანება და ამით ის ეზიარება სამყაროს სასიცოცხლო ძალებს. ფარნავაზის მიერ სიზმარში მზის ცვარის ცხება, ზ. კიკნაძის აზრით, ჭაბუკისთვის მეფური ქარიზმის მინიჭებას აღნიშნავს, სადაც მზის ცვარი და რძე იდენტური მითოლოგიური სიმბოლოებია. ბიბლიაში გვხვდება ცხების ზეთი, რომელიც ღვთის სულის გადასვლის, უფლის კურთხევის სიმბოლოა: “გამოიტანა ცადოკ მღვდელმა კარვიდან რქით ზეთი და სცხო სოლომონს. კრეს ბუკს და დაიძახა მთელმა ხალხმა: იცოცხლოს მეფე სოლომონმა!” [3 მეფ. 1:39].

როვშანის ინიციაციის ბოლო ეტაპს წარმოადგენს სახელის დარქმევა, რომელსაც უნივერსალიებზე დამყარებული ტიპოლოგიური მსგავსება აქვს კულტურულ-ისტორიულად განსხვავებულ ტრადიციებთან. კონგოს ბელადად კურთხევის რიტუალში აუცილებელი დატვირთვა ჰქონდა მომავალი ბელადის ხანგრძლივ იზოლაციას განცალკევებით მდგარ ქოხში, რომელსაც საგანგებოდ

აშენებდნენ ამ შემთხვევისთვის. გამომწყვდევის მთელი ციკლის კულმინაციას წარმოადგენდა "სიკვდილისა და აღდგომის" რიტუალი. ამის შემდეგ მომავალი ბელადი იღებდა ახალ სახელს [ტომანოვსკაია 1980: 84-85].

ოსური ნართების ეპოსშიც მოზარდისთვის სახელის დარქმევას რიტუალური დატვირთვა უნდა ჰქონოდა. სანადიროდ წასული ბეძენაგის შვილობილი მიმართავს გმირ სოსლანს: "სახელი ჯერ არ მაქვს. მამაჩემს ვკითხე, სახელს რატომ არ მარქმევ-მეთქი და ასე მიპასუხა: "სანამ ნართი სოსლანი არ დაგარქმევს, მანამდე მე არაფერი შემიძლიაო" [ნართები 1988: 337]. ნადირობაც ტრადიციულ საზოგადოებაში ინიციაციის ერთ-ერთ ელემენტად იყო მიჩნეული. ნადირობაში გამოჩენილი განსაკუთრებული წარმატების შემდეგ სოსლანმა ბეძენაგის შვილობილს არახძავი დაარქვა.

მთის მწვერვალიდან დაბრუნებულ როვშანს მამა ბავშვობის სახელს უცვლის და ჭაბუკს იმ დღიდან ქოროღლი ჰქვია. ქორქუთის წიგნში ოღუზთა ახალგაზრდებს გმირობის ჩადენის შემდეგ სახელს არქმევდა ბრძენი მოხუცი, ოღუზური ტომების პატრიარქი დედე ქორქუთი. ლ. ჩლაიძის აზრით, "ოღუზურ ტომებს ეს უძველესი ტრადიცია ძველი სამშობლოდან უნდა მოეტანათ. ჩანს, თურქულ-აზერბაიჯანული მოდგმის ხალხს დიდხანს შემორჩენია ტრადიცია: ყმაწვილს სახელს მხოლოდ მას შემდეგ დაარქმევდნენ, როცა თავს გამოიჩენდა" [ჩლაიძე 2006: 196]]. კოსმიურ ძალებსა და საკრალურთან ზიარების შემდეგ მთიდან ჩამოსული როვშანი ისეთი ვეღარ იქნება, როგორიც მანამდე, მთაზე ასვლამდე იყო. ხევსურული ანდრეზის მიხედვით, კარატის მთის მწვერვალზე ჯვარჩენის მხილველი ქალ-ვაჟი საკრალურთან შეხებამ `სრულიად მოწყვიტა ყოფით ცხოვრებას და საკრალურ სფეროში - თითქოს კვრივში გადაიყვანა" [კიკნაძე 1996: 35].

როვშანის ინიციაციის ეპიზოდში უხვად არის წარმოდგენილი რელიგიური და მითოლოგიური დანიშნულების სიმბოლოები. მაგრამ "ქოროღლი" სეკულარული ეპოსია და მასში, როგორც საგმირო-საფალავნო ნაწარმოებში, მთელი ყურადღება გადატანილია მთავარი გმირის ფიზიკურ ძალ-ღონეზე, ვაჟკაცობაზე. ამიტომ ინიციაციის ელემენტებს დაკარგული აქვთ რელიგიური და რიტუალური მნიშვნელობა. თუმცა შესაძლებელია ზოგიერთი მათგანის რეკონსტრუქცია. მათი თავდაპირველი არქაული რელიგიური დანიშნულება კი ეჭვგარეშეა.

ინიციაციის წყალობით როვშანი იძენს ძალაუფლებას. მ. ელიადეს სიტყვებით, "მოზარდი გარდაიქმნება სოციალურად პასუხისმგებელ და კულტურულად გაღვიძებულ პიროვნებად" [ელიადე 1963: 102]. ინიციაცია-განდობის რიტუალის

შემდეგ როვშანი ასაკობრივ და სოციალურ სტატუსთან ერთად იცვლის საკუთარ სახელს. მას ენიჭება ზებუნებრივი ძალ-ღონე და ჯადოსნური ხმა, რომლითაც მსმენელს ატყვევებს. ის ხდება საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი: აქვს ცოლის შერთვის უფლება. რაც მთავარია, მას ენიჭება მამაკაცისთვის ყველაზე საპატიო მისია, მეომრის ფუნქცია, მას შეუძლია გაუძღვეს დელიბაშებს საომრად.

როვშანის ინიციაციის შემდეგ ეპოსში სიუჟეტი ტრადიციულად ვითარდება. იწყება ქოროღლის ეპიკური საგმირო-საფალავნო თავგადასავალი. ქოროღლი ცოლს ირთავს. ქოროღლის სახელი აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მთელ დუნიაზე განითქმება. ბეგებს, ფაშებსა და ხანებს მისი სახელის გაგონებაზე მუხლი ეკვეთებათ.

ამრიგად, ქოროღლის აზერბაიჯანულ ეპოსში თვალსაჩინოდ იკვეთება მსოფლიოს ხალხთა მითოსებისთვის დამახასითებელი პერსონაჟის გმირად ტრანსფორმაციის უნივერსალური ელემენტები. როვშანის ინიციაცია, მისი მისტიკური სიკვდილი და ხელმეორე დაბადება წარმოადგენს სამყაროს საკრალური ისტორიის, კოსმოგონიის გრანდიოზული გამეორების ნაწილს. ინიციაციის დროს სიმბოლურად მოკვდა როვშანი, როგორც მოზარდი და დაიბადა ქოროღლი, როგორც გმირი.

ლიტერატურა

ელიადე 1963: M. Eliade. Aspects du mythe, Gallimard, 1963.

კიკნაძე 1996: ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I, ჯვარი და საყმო, ქუთაისი, 1996.

კიკნაძე 2002: ზ. კიკნაძე, ქართული ხალხური ეპოსი, თბ., 2002.

ნართები 1988: ნართები, ოსურიდან ქართულ ენაზე თარგმნა მერი ცხოვრებოვამ, ცხინვალი, 1988.

რუსთაველი 1974: შ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, 1974.

ტომანოვსკაია 1980: Томановская О. С. Лоанго, Каконго и Нгойо, Историко-этнографический очерк, «Наука», М., 1980.

ქოროღლი 2003: ქოროღლი, აზერბაიჯანული ხალხური ეპოსი, აზერბაიჯანულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა, 2003.

ჩლაიძე 2006: ლ. ჩლაიძე, კავკასიური ფოლკლორი, თბ., 2006.

ხენეპი 1909: Gennep Arnold, van, Les rites de passage, paris, 1909.

Khvtiso Mamisimedişvili

İv.Javakhişvili adına Tiflis Devlet Üniversitesinin Profesörü

Köroğlu Destanında Kahramanın İnisiyasyonu

Arkaik Toplumda Topluma birleşme töreni değişik türlerle karşımıza çıkmaktadır. Değişik geleneklerde bile bu törenin tipoloji unsurları ve simgeleri vardır. Değişmeye hazırlanan birey belli süreçleri geçtikten sonra yaş ve sosyal statüsü değiştirerek geleneksel toplumun değerli üyesi olabiliyordu. İnisiyasyonun kökenleri pratik olarak her Milletin eskilere gitmiş geleneklerinde bulabiliriz. Değişik Toplumlarda İnisiyasyona mahsus olan unsurlar gittikçe günlük hayatından kaldırılıp kayıp oldu.İnsan varlığında kayıp olmuş eski örf ve adetler folklorik motifleri ve olay örgüsü yoluyla meşhur halk destanlarında yer almaktadır. Köroğlu destanın Azeri versiyonunda Rovşanın inisiyasyonu ile ilgili olay çok enteresandır. İnisiyason süreci geçtikten sonra Rovşandan Köroğluya dönüşmüş farklı yetenekleri ve farklı sosyal statüsü kazanmış yeni bir insan doğmaktadır. İnisiyasyon herhangi bir sosyal grup veya gizemci topluluklarda bireyin yeni statüse, gelişmenin yeni aşamasına geçmesini kast etmektedir. Birey İnisiyasyon sürecindeyken evrenin yaşamsal kaynaklara tanışmış oluyor. Destanlarda adı geçen tanışma fiziksel gücüne sahıp olmakla ifade etmektedir. Kabul etme töreniyle birey topluluğun sırrı, eski mitleri ve halk hikmeti algılanmaktadır. Törende bireyin simgesel olarak takdis etmesi, kurban etmesini oluyor.

Araştırmacılar inisiyasyonun, geçme törenin üç aşamasını ayırılıyorlar. Birinci aşaması gencin yetişkin olma yaşına geçmesini kast etmektedir. Geçme süreci ya dar bir çevre arasında ya da bireysel olarak gerçekleşmektedir. İkinci aşaması gizemci topluluğun ya da herhangi bir kardeşliğin değerli üyesi olarak kabul etme anlamı taşımaktadır. Geçme törenin üçüncü aşaması ise bireyin rahip, şaman, bir kabile reisi olarak kabul etmesini kast etmektedir. Geçme törenin ortak nitelikleri olmakla beraber farklılığı da var. Geçme törenin amacı ve özü her zaman ve her yerdi ayınıdır. Farklı olan Zaman ve Mekânla uyum sağlama araçlarıdır. Mesela geçme törenin üçüncü aşamasının en önemli özelliği inisiyasyon eden kişinin gizemci topluluğa ait olan diğer üyelerinden daha derin bir dinsel duygusuna sahip olmaktır.Kişi kabul etme töreninden sonra kutsal bir insan olarak algılanıyordu. Bu nedenle o Tanrı gibi dokunmazlık ,yanaşılmazlık durumda oluyordu. Bu durum bir taraftan inisiyasyonu geçmiş kişi ve toplum arasında bir engelli ortaya koyuyordu diğer taraftan ise Toplum onun davranışlarından mahfuz değildi.

Mirça Eliade'ye göre "İnisiyasyon kendi içinde bir sürü törenleri kapsamaktadır ve onların simgeseliği besbellidir. Gencin yeniden doğması için onun embriyona dönüşmesi lazim. Yani inisiyasyon yeniden doğma anlamı taşımaktadır."(Eliade 1963:101)

İnisiyasyon töreni çoğu zamanlarda Dini Bayramlarda gerçekleşiyordu. İnisiyasyon töreni vucüda ziyan verme, çerrahi müdahale gibi ağır ,acı verici ritüelle geçiyordu. Bazen bu tür ağır acıları daha koyla şekilde yaşanmak için inisiyasyona uğranan kişiyi uyutuyorlardı.

Geçme töreninde en önemli unsur bireyin toplumdan ayrılıp izole etmesiydi. İnisiyasyon süreci geçerken birey sabırlı ve sebatkâr olmalıydı. Geçme töreni yememek, suskunluk, karanlıkta olmak gibi bazı yasaklamalar da kast ediyordu. Bu tür yasaklamalar bireyin riyazette çalışmak değil dünyevi, maddi isteklerden vazgeçmek anlamı taşımaktaydı.Geçme töreni içinde üç kavramın algılayışı kapsamaktadır. Bunlar : Kutsallık, Ölüm ve Cinselliktir. İnisiyasyonu geçmeden önce genç bu kavramlar üzerine bilgi sahibi değildi. Tören sırasında birey bu kavramların anlamını algılanıp hayatının önemli parçası oluyordu. Çoğu zamanda işkenceye kadar giden fiziksel çalışmalar bireyin kaynak noktasına henüz oluşturulmamış halıne geri dönmesini kast ediyordu. Bireyin bu halı ölümü ve yeniden doğmasının ifaedsiydi. İnisyasyonun son aşamasının en önmeli parçası dinî-mistik duygusuydu. Bireyin ritüelsel ölümü bilgesizliğin ve çocukluğun bitmesini ifade etmekteydi. Birey ancak ritüelsel sınavı geçtikten sonra bütün haklar ve görevlerle beraber toplumun tarafından kabul ediliyordu.

Arnold Van Gennep'e göre inisiyasyonun üç dönemi vardır. Liminal öncesi yanı ayırılma töreni, liminal yanı bireyin mevcut olan durumdan başka bir duruma geçme süreci ve postliminal yanı yeniden doğma töreni.Son dönemde birey yeni statüsü almaktadır. Bunlar yaş,sosyal ya da metafizik değişmelerle ilgili olabilir.(Gennep 1909).Adi geçen dönemler epik kahramanın hayatına az-çok yansıtmaktadır. Ayını zamanda bunu da belirtmemiz lazım ki destanlarda törenler eski önemleri taşınmamaktadırlar.

Köroğlu'nun Azeri versiyonunda Rovşa'nın inisyasyonla ilgili ne tür tipolojiyle rastlıyoruz.

Tipoloji bakış açısından Köroğu destanında inisiyasyonun önemli unsurlar şunlardır: Kutsal zaman ve mekân, dağa çıkma, dağ tepesi, suya (süte) yıkama, gökten inen nur ,gece karanlığı, gök ve yıldızlar, baba vazifesi, ad koyma ve başka.

Her kahraman gibi Rovşanın inisiyasyonu yaş değişimiyle başlıyor. Destanda belirtiği gibi " Rovşan çok genç olamsına rağmen Rüstem gibi cesur ve kuvvetlidir. On beş, on altı yaşında varsaylırdı. Bazi yerlerde kahramanın yaşı daha aşağı indirmiştir ama burada en önemli olan epik kahramanın inisyasyonundan sonraki hayatıdır". Gürcü epik kahramanın , soylu eşkiyanin Amırani'nin ,gerçek hayatı 16 yaşından başlıyor :'"On altı yaşına basınca ünü her yerde yayılmaya başladı"

Rovşanı inisiyasyon yerine götüren kişi babası Alı Kışıdır. Eski destanlarda baba, babalığın simgesi olduğu için babadan başka oğlunu kimse inisiyasyonu yerinde götüremezdi. Abraham oğlunu İsaaki kurban etmek için Moria dağa çıkardı.Sonra bu dağda Solomon Tapınağı inşa edildi.

İnisiyasyon nerede gerçekleşiyor? İnisiyasyonun yeri kutsal bir mekân olmalı. Rovaşa'nın inisiyasyonu ritüel olark dağ tepesinde bitmktedir. En uygun yer dağ tepesidir. Mitoloji eselerde dağ tepeleri cennetin özellikleri taşımaktadırlar. Köroğlu destanında dağ tepesi simgesel açısından Dünya yaratama ve evrenin orta yeri olarak karşımıza çıkmaktadır. Dağ tepesinde mükemmel güllük var, gül güle,bülbül bülbüle seslenir. Gök ve Yeryüzü kudtertleri arasında uyum var. Dağ tepesi gencin tanrısal hikmetine ,evrenin yaşatma güçlerine ,yaşam –ölümüne kavuşma yeridir. Dağ tepesi İncilde kilise mihrabı olarak algılanmaktadır. Hırıstıyan geleneğinde kilisede mihrabı olduğu gibi dağ tepesinin kutsal önemi var. Dağ tepesi göğe en yakındır. Oset nart destanın kahramanları Soslan ve Batradzi inisiyasyonu İlahi Güçlerin kabulüyle semavi demircinin Kurdalagon'un kazanında geçmektedirler. Soslanı kurt sütünde yıkadıktan sonra İlahi güçleri ona özel olan yetenekleri vermektedirler.(nartlar 1988:101-105). Destanda Soslan topluma medeniyeti getiren kültürel kahraman olarak karşımıza çıkmaktadır.

Rovşan tarafından Kırat ve Durat atların terbiye edilmesi, kutsal zaman ve mekâna girilmesi inisiyason için hazırlama yanı liminal önceki durumu olarak değerlendirebiliriz.(Gennep'in terimle).Kahraman Liminal önceki dönemi aşmadan eli tutmayan kayaya çıkamaz. Dağ tepesinde Rovşanın durması ve kosmik güçleriyle kavuşması kahramanın liminal döneminde olduğunu ifade etmektedir. Kahraman yeni hayatın ,yeni statüsün eşiğin üstünde bulunmaktadır.

İnisiyason ne zaman gerçekleşiyor? Destanda inisiyasyon zamanı kutsal bir zaman olarak göstermektedir.Gürcistan'da Khakhmatı köyünde erkek çocukları kötü güçlerinden korumakla ilgili töreni yüksek dağ tepesinde , Atengenoba adlı Dini bayram olduğu zaman yapılıyordu. Rovşa'nin inisiyasyonu Tanrıların kutsal ettiği zaman içinde gerçekleşiyor. Diğer sözlerle ifade etmiş olursak ritüel olarak insan kendi içinde dünya yaratılış zamandaki kutsal zamanı ve bugünkü dünyayı kapsayan gerçeklikleri hissetmektedir. Destana göre bu kutsal zamanı Koşabulağ dağında yedi yılda bir ,Cuma gecesinde doğudan ve batından gelen birer yıldızların birbirlerine çarptığı zamanıdır. Yıldızlar çarparken gökten dağa nur iniyor. Doğu Gürcistanın dağlı yerlerin öğütlerinde yıldızların yer değişimi ve gökten dağa nurun inmesi kutsallığın (Haç görünmesi) simgesidir. Bu kutsallığı gören insan tanrıdan seçilmiş oluyor. Khevsur öğütlerine göre ergin yaşına ulaşmış kız ve erkek Karat dağ tepesinde Kutsallığı görmüş oldular. Çobanlıkta olan kız ve erkek gökten bir ses işitmişler ardından da mücize gördüler. Gökten erkek için kadeh kız için ise gümüş kolye indi. Vaiz tavsiyesiyle kadeh ve kolye indiği yerde gömmülüp üzerinde kilise işna edildi.

Rovşan da seçkindir. Dağa çıkma ve yedi yılda bir Koşabulağ dağında nurun görmesi sabırla ve engelleri aşarak mümkün olabiliyor. Bu yüzden adı geçen zaman ve mekânda olmak sadece seçkin insanların kaderidir. İncile göre Sina dağ tepesinde Tanrıyı gören tek insan bulutlara sarılmış Musa peygamberi oldu. Rovşan Liminal önceki dönemdeyken Koşabulağ dağ tepesinde kutsal zaman ve mekâna girmeyi elde edebilir. Rovşa'nın inisiyasyonu ile ilgili olay da kutsal toprak Toprak-ananın bünyesiyle özdeşetirilmiştir."Yapısal bakış açısından anenin rahmine dönme süreci uyumsuzluk yanı embriyon durumuna geri dönmesinin ifadesidir"(Eliade 1963:101)

Rovşa'nın inisiyasyonu gece yarısında bitiyor. Bireyin karanlıkta olunması ritüel geçmesinin en önemli usurudur. Oset nart destanına göre Batradzi Satana'nın tarafından karanlık odada kapanmış idi ama büyüyüp kuvvetli olduktan sonra kapı kırarak dışarı çıktı (Nartlar 1988:212).Batradzı'nın olduğu karanlık oda inisiyason yeridir. Parnavaz'in rüyasında yer alan "sesiz ev" ayını anlam taşımaktadır. Adı geçen evinden Kral adayı olan Parnavazı güneş nuru çıkarmaktadır. "Kaplan Postlu Şövalye" destanına göre Hındıstan veliahdı arkadaşı olan Avtandıl'a bir sene karanlıkta geçirdiğini anlatmaktadır.(Rustaveli 1974:103). Karanlıktan çıktıktan sonra destan kahramanın Tariyeli'nin epik yaşamı başlamaktadır. Daha önce karamanın hayatında hiç birşey olmuyordu. İnisiyasyon kulübesinin , ejderha karninin ,kutsal toprağın karanlığı mitoloji metinlerde anne rahminin simgesidir. Ritüelsel geçme zamanında kutsal toprakta, gece karanlığında Rovşan embriyonal durumuna geri dönmektedir. Rovşan'dan yeni yeteneklere yeni gücüne sahıp olan insan doğması için simgesel olarak onun ölmesi lazım .M Eliade'ye göre "Doğmadan önceki karanlık Dünya yaradılışın ilk gecesinin ve inisiyasyon kulübesinin karanlığın ifadesidir. "(Eliade: 1963:100).

Evrenin dört unsurlardan Ateş, Hava, Toprak ve Su hepsinin yoğunlaştığı zaman , gece karanlığında yıldızlar çarparken dehşet bir olay meydana gelmektedir. Koşabulağ suyu yanlarında Rovşan'ın üzerine nur gelip topraktan insan boyuna kadar süt gibi köpük fışkırmaktadır. Rovşan sihirli köpükleri içer ve yiğitlilik, şâirlilik ve sonsuz güç kazanır. Oset Nart destanında inisiyasyon için kurt sütüne yıkatacaklar. Amiran destanında ise ejdera karnında çıkan kahraman İgri ağanın suyuna yıkanarak evrenin yaşamsal güçlerini kazanır. Rüyada Parnavaz'a güneş nemi sürme olay Z.Kiknadze'ye göre Delikanliğa çarlık karizmasının verilmesi anlamına gelmektedir. Güneş nemi ve süt identik mitoloji simgelerdir. İncilde sürme yağla rastlamaktayız. Bu ise Tanrının ruhunun başkasına geçmesinin simgesidir. "Papaz Tsadok çadırdan boynuzla yağ getirip Solomon'a sürdü Boru çalındı ve halk bir ağızla Yaşasın Çar Solomon diye bağırdı".(3Çar.1:39)

Rovşa'nın inisiyasyonun son aşaması kültürel-tarihsel bakış açısından farklı geleneklerde üniversaliyelere dayanmış tipoloji benzeyişi olan ad koyma törenidir.Kongo reisin kabul etme merasimde önemli olan reis adayın ayırı kabülede uzun süreyle izole etmesiydi. Bu kapanmanın dönük noktası ölüm ve diriliş ritüeliydi .Bundan sonra reis adayı yeni adı almaktaydı (Tomanovskaya 1980:84-85)

Oset nart destanında gence ad koyması ritüel anlamı taşımalıydı. Ava giden Bedzanagın evlat ettiği genç Soslana söylüyor "Henüz adım yok ,babama sordum neden ad koymuyorsun diye o da " Nart Soslan sana ad koymayana kadar ben birşey yapamam diye cevap verdi"(Nartlar: 1988;337). Geleneksel toplumda avcılık inisiyasyonun bir unsuruydu. Avcılıkta gösterdiği başarıdan sonra Soslan Bedzenagın evladına Arakhvadzı adını verdi.

Dağ tepesinden dömüş Rovşana babası yeni ismi vermektedir. O günden sonra adı Köroğlu oluyor. Kosmik ve Kutasal güçlerle kavuşmasından sonra Rovşan eskisi gibi olamaz. Khevsur

öğütüne göre Karat dağ tepesinde Kutsalığı gören genç kız ve erkeği "Günlük hayatından tamamen koparıp kutsal mekâna taşıttı"(Kiknadze 1996:35).

Rovşa'nın inisiyasyonla ilgili parçasında dini anlamı olan mitoloji simgelerin saysı çok. Ama Köroğlu seküleri bir destan olduğu için kahramanlık eserlerde gibi kahramanın fiziksel gücüne önemli yer vermektedir. Bu yüzden inisiyasyon unsurları dini ve ritüel anlamları taşımamaktadırlar. Bazıların rekonstrüksyonu mümkün. Bu unsurların ilk anlamın dinî anlamı olduğunu kuşkusuzdur.

İnisiyasyon yardımıyla Rovşan gücü kazanır. M .Eliade'ye göre " Genç sosyal olarak sorumlu ve kültürel açısından uyandırmış bireye dönüşmektedir".(Eliade 1963; 102). İnisyasyon ritüeli geçtikten sonra Rovşan yaş ve sosyal statüsle beraber adını da değişmektedir. O Delibaşların reisi olur. Kahraman Olağanüstü güce ve sihirli sese sahıp oluyor. İnisiyasyon bittikten sonra Köroğlunun kahramanlık macerasını başlıyor. Köroğlu evleniyor. Onun adı doğudan batıya bütün dünyaya meşhur olur. Paşalar, hanlar ve beyler ondan kokarlar.

Böylece Rovşan'ın inisiyasyonu, onun mistik ölümü ve yeniden doğması Evrenin kutsal tarihinin, kozmogonının yinelenmesinin parçasıdır. İnisiyasyon döneminde Rovşan bir genç olarak öldü ve ondan kahraman olarak Köroğlu doğdu.

Kaynakça:

M.Eliade . Aspects du mythe,Gallimard ,1963

Z.Kiknadze Gürcü mitoloji I , İbadet yeri ve cemaati ,Kutaisi 1996 (Gürcü dilinde)

Nartlar 1988 : Nartlar ,Oset dilinden gürcüceye çeviren Meri Tskhovrebova ,Tskhinvali,1988 (Gürcü Dilinde)

Rustaveli 1974 Ş .Rustaveli Kaplan Postlu Şövaliye 1974 (Gürcüce)

Tomanovskaya 1980: Tomanovskaya O.S. Loango , Kakongo ve Ngoıo Tarihi- etnografik denemesi İlim M, 1980

Köroğlu 2003 :Köroğlu Azerbaycan halk destanı , Azericeden çeviren Zezva Medulaşvili, 2003 (Gürcüce)

Gennep 1909: Gennep Arnold , van Les rites de passage, paris 1909

Khvtiso Mamisimedishvili

TSU Professor

Hero initiation in Koroghlu epos

In the archaic society, the ritual of communion with the social medium is distinguished for its particular diversity, having its typological elements and symbols even in different traditions.

A neophyte, after certain rituals, had his age or social status absolutely changed and became a full-value member of the society. The old customs and rituals disappeared from life are reflected in famous folk eposes as folklore motifs and plots.

In old eposes, a hero is subject to ritual passages (rites de passage). The initiation of Rovshan, the main hero of Azerbaijan epos “Koroghlu” is ended up on a top of the mountain.

Rovshan is subject to initiation during hierophania, when *two stars from East and West each collide with each other on top of Koshabulag once in every seven years. During the initiation,* Rovshan receives the vital forces of the universe. The top of mountain symbolizes the site of the heavenly Creation and center of universe, where the heavenly and earthly forces are in full harmony.

In a typological respect, Koroghlu epos is important for the elements of initiation: sacral chronotope, ascending the mountain, mountain top, water, light pillar, night, sky and starts, Father’s mission, naming, etc.

Owing to initiation, Rovshan acquires power, is given heavenly strength and magic voice fascinating a listener. After the initiation-Christening, Rovshan, together with his age and social status, has his name changed, too. In the folk texts, initiation is the onset of a hero's epic adventure.

სტატია დაიბეჭდა ბაქოში ქართულ და თურქულ ენებზე შემდეგ კრებულში: Professor Valeh Hacilarin xatirəsinə hasr olunmuş "Qafqaz xalqlarinin folklore və lingvokulturologiyasi" mővzusunda Beynəlxalg Elmi Simpoziumun Materiallari, Tbilisi, Baku, "Elm&tahsil", 2012 (გვ. 245-254).